ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 632621512**

თარიღი:**03/08/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე 3753.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სპორტული მოედნის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.258) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24–ე მუხლის მუხლის მე–2 პუნქტის, 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ"–ქვეპუნქტის ,,დ.დ"–ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ''-ქვეპუნქტის და მე–5 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე 3753.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სპორტული მოედნის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.258) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ შპს ,,სკ ჭოხოსპორ''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი - 438738822) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე 3753.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - სპორტული მოედანი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.258).

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე 3753.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სპორტული მოედნის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.258), უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 2 (ორი) წელი.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი